ხელშეკრულება
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №02/01/14-297

ქ. თბილისი 12 ნოემბერი, 2014 წელი

ერთის მხრივ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ს.ს.ი.პ. სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო (შემდგომში – შემსყიდველი), სააგენტოს თავმჯდომარის მოადგილის ნინო ინწკირველის სახით და მეორეს მხრივ, შ.პ.ს. „გუდვილი" (შემდგომში „მიმწოდებელი"), მისი დირექტორის მოვალეობის შემსრულებელმა ნუგზარ გაბრიჭიძემ სახით ვხელმძღვანელობთ რა საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი და ობიექტი

1.1 ხელშეკრულების საგანია კანონმდებლობით ნებადართული შემოსავლებიდან (პროგრამა „ადმინისტრაციული მართვა და კონტროლი") CPV15800000 სხვადასხვა საკვები პროდუქტები შესყიდვა, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-10 მუხლის მე-3 პუნქტის „ს[1]" ქვეპუნქტის საფუძველზე, წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით.

1.2 ხელშეკრულების ობიექტია:

1. 5 (ხუთი) ერთეული ELLEDI კაკაოს ნამცხვარი 250 გრ, ერთეულის ღირებულება შეადგენს 7.55 (შვიდი ლარი და 55 თეთრი) ლარს;
2. 1 (ერთი) ერთეული შაქარი 1კგ, ღირებულებით 1.67 (ერთი ლარი და 67 თეთრი) ლარს;
3. 25 (ოცდახუთი) ერთეული LEBO ყავა სერენა 100გრ დაფქვილი, ერთეულის ღირებულება შეადგენს 1.90 (ერთი ლარი და 90 თეთრი) ლარს;
4. 25 (ოცდახუთი) ერთეული LEBO ყავა ორიგინალი ლებო 100გრ დაფქვილი, ერთეულის ღირებულება შეადგენს 2.70 (ორი ლარი და 70 თეთრი) ლარს;
5. 3 (სამი) ერთეული GREENFIELD შავი ჩაი 100ც, ერთეულის ღირებულება შეადგენს 14.70 (თოთხმეტი ლარი და 70 თეთრი) ლარს;
6. 15 (თხუთმეტი) ერთეული JACOBS ხსნადი ყავა 200გრ, ერთეულის ღირებულება შეადგენს 19.20 (ცხრამეტი ლარი და 20 თეთრი) ლარს.

2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1 შესყიდვის ობიექტის ფასი განისაზღვრება ლარებში.

2.2 შესყიდვის ობიექტის საერთო ღირებულება შეადგენს 486.52 (ოთხას ოთხმოცდაექვსი ლარი და 52 თეთრი) ლარს, ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანამდევი ხარჯების (დ.ღ.გ.-ს და სხვა) ჩათვლით.

3. შესყიდვის ობიექტის ხარისხი

3.1 მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ მიწოდებული ობიექტის ხარისხი უპასუხებს ხელშეკრულების პირობებს და დააკმაყოფილებს შემსყიდველის მოთხოვნებს.

4. შესყიდვის ობიექტის მიწოდების პირობები

4.1 შესყიდვის ობიექტის ტრანსპორტირებას, შემსყიდველი უზრუნველყოფს საკუთარი ხარჯებით.

4.2 მიმწოდებელი ვალდებულია ხელშეკრულების გაფორმებიდან 2 (ორი) სამუშაო დღის ვადაში უზრუნველყოს საქონლის გადაცემა შემსყიდველისათვის, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, ფარნავაზ მეფის გამზ. №1.

4.3 მიმწოდებელი ვალდებულია გადასცეს შემსყიდველს უფლებრივად და ნივთობრივად უნაკლო საქონელი.

4.4 საქონლის მიწოდების პარალელურად, მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს თანმხლები დოკუმენტაციის, კერძოდ, საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა და სასაქონლო ზედნადების წარმოდგენა.

5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

5.1 შესყიდვის ობიექტის მიღება ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტით,

შემსყიდველისა და მიმწოდებლის სააქისოდ უფლებამოსილი წარმომადგენლის ხელმოწერით.

5.2 ხელშეკრულების შესრულების კონტროლზე და ხელშეკრულებით გათვალისწინებული მიღება-ჩაბარების აქტების გაფორმებაზე უფლებამოსილი პირები არიან (ინსპექტირების ჯგუფი) სააგენტოს შესყიდვების სამსახურის მთავარი სპეციალისრი გიორგი მესხი და ლოჯისტიკის სამსახურის მთავარი სპეციალისტი ლაშა ნოზაძე.

5.4 მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებასთან ერთად, მიმწოდებელი ვალდებულია წარმოუდგინოს შემსყიდველს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტაცია. წინააღმდეგ შემთხვევაში, შემსყიდველს უფლება აქვს უარი თქვას ანგარიშსწორებაზე.

6 ანგარიშსწორების ფორმა, გრაფიკი (ვადები) და ადგილი

6.1 მიწოდებული ობიექტის ღირებულების ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით, ლარებში.

6.2 ანგარიშსწორება შემსყიდველის მიერ მოხდება საქონლის მიწოდებისა და აღნიშნულის თაობაზე მხარეთა შორის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 20 კალენდარული დღის განმავლობაში.

6.3 ანაზღაურების ადგილია ქალაქი თბილისი.

7. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

7.1 შემსყიდველს უფლება აქვს:

- შეამოწმოს მიწოდებული საქონლის ხარისხის შესაბამისობა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან.

7.2 შემსყიდველი ვალდებულია:

- მოახდინოს ანგარიშსწორება მიმწოდებელთან ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად;
- დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

7.3 მიმწოდებელს უფლება აქვს:

- მოსთხოვოს შემსყიდველს მიწოდებული საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.

7.4 მიმწოდებელი ვალდებულია:

- სახელმწიფო შესყიდვების კანონის 22^1 მუხლის საფუძველზე შემსყიდველის მოთხოვნის შესაბამისად წარმოადგინოს საქართველოს კონტროლის პალატის მიერ მოთხოვნილი შესყიდვებთან დაკავშირებული ნებისმიერი დოკუმენტაცია და/ან ინფორმაცია;
- დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

8. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების დარღვევისას

8.1 მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობა გამოიწვევს პასუხისმგებლობას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

8.2 თუ ხელშეკრულების რომელიმე მხარე დაარღვევს წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებას, მაშინ ხელშეკრულების მეორე მხარეს შეუძლია მოითხოვოს ხელშეკრულების გასვლა ვალდებულების შესრულებისათვის მის მიერ დამატებით განსაზღვრული ვადის უშედეგოდ გასვლის შემდეგ (დამატებითი ვადის განსაზღვრისათვის გამოიყენება წერილობითი ფორმა). თუ ვალდებულების ხასიათიდან გამომდინარე შეუძლებელია გამოყენებულ იქნას დამატებითი ვადა, მაშინ დამატებითი ვადის განსაზღვრას უთანაბრდება გაფრთხილება.

8.3 ხელშეკრულების მოშლისას მხარეს შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება, რომელიც მას მიადგა მეორე მხარის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობით.

8.4 ხელშეკრულების მოშლასთან და ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კოდექსი.

8.5 ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობის ან ვალდებულების შესრულების ვადების დარღვევის შემთხვევაში, დამრღვევ მხარეს

დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა ვალდებულების შესრულების ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების საერთო ღირებულების 0.05%-ის ოდენობით, ხოლო, თუკი ადგილი აქვს ვალდებულების ნაწილობრივ შეუსრულებლობას, პირგასამტეხლო შეადგენს ვალდებულების შეუსრულებელი ნაწილის 0.05 %-ს.

8.6 იმ შემთხვევაში, თუკი მხარის მიერ გადასახდელი (მხარისათვის წინამდებარე ხელშეკრულების შესაბამისად დაკისრებული) პირგასამტეხლოს საერთო ღირებულება გადააჭარბებს ხელშეკრულების საერთო ღირებულების 5%-ს, მეორე მხარეს უფლება აქვს ცალმხრივად მოითხოვოს ხელშეკრულების მოშლა და მიყენებული ზიანის ანაზღაურება.

9. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

9.1 ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების ხელის მოწერის დღიდან 2014 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

10. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვის შესაძლებლობა

10.1 წინამდებარე ხელშეკრულების პირობების, მათ შორის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების საერთო ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კნონმდებლობით დადგენილი წესით.

10.2 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398–ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში, დაუშვებელია სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით გაზრდა.

11. ფორს-მაჟორი

11.1 ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და ხელშეკრულების შესრულების გარანტიის დაუბრუნებლობას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.

11.2 ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი“ ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

11.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

12. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

12.1 ხელშეკრულების შესრულებისას მხარეთა შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.

12.2 შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

13. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

13.1 შემსყიდველი უფლებამოსილია საქონლის მიწოდების პარალელურად მოახდინოს მიწოდებული საქონლის შემოწმება, რომლის მიზანია მისი

შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და შემსყიდველის მოთხოვნებთან.

13.2 ხელშეკრულების ინსპექტირებას შემსყიდველის მხრიდან განახორციელებენ წინამდებარე ხელშეკრულების 5.2 მუხლში აღნიშნული პირები.

13.3 შემოწმების შედეგად გამოვლენილი ნებისმიერი ნაკლის ან დეფექტის შესახებ შემსყიდველი დაუყოვნებლივ წერილობით აცნობებს მიმწოდებელს დაწუნებული საქონლის რაოდენობისა და წუნდების მიზეზების მითითებით.

13.4 გამოვლენილი დეფექტის აღმოფხვრასთან დაკავშირებით (მიმდინარე და ასევე ეტაპების მიხედვით უკვე შესრულებული) ინსპექტირების ჯგუფის მიერ თავდაპირველად განსაზღვრულ და „შემსყიდველთან შეთანხმებულ ვადაზე არ ვრცელდება საჯარიმო სანქციები.

13.5 გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრასთან და ხელახალ ინსპექტირებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

14. სხვა პირობები

14.1 მხარეები აუნაზღაურებენ ერთმანეთს მიყენებულ ზარალს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

14.2 არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

14.3 მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.

14.4 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან (ერთი პირი მიმწოდებელთან და ერთი პირი შემსყიდველთან). ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

14.5 წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

15. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

შემსყიდველი:	**მიმწოდებელი:**
სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო მის: ქ. თბილისი, აკ. წერეთლის გამზ. №67ა ს.ს. „საქართველოს ბანკი“ BIC კოდი: BAGAGE22 ა/ა № GE20BG0000000122031300 ს/კოდი: 202307404	შ.პ.ს. „გუდვილი“ მის: ქ. თბილისი, ჭავჭავაძის გამზ. №9 ს.ს. „საქართველოს ბანკი“ BIC კოდი: BAGAGE22 ა/ა № GE60BG0000000704007300 ს/კოდი: 206343991
სააგენტოს თავმჯდომარის მოადგილის ნ. ინწკირველი	**შ.პ.ს. „გუდვილი“-ს დირექტორის მ.შ** ნ. გაბრიჭიძე